



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
„ტრანსპორტი“
დოქტორანტურა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი - 16, 19, 20 აპრილი 2021 წელი.

დასკვნის წარდგენის თარიღი - 21 ივნისი 2021 წელი.

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|--|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ტრანსპორტი Transport |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მესამე (დოქტორანტურა) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი / Doctor of Transport Engineering |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები / Motor vehicles, ships and aircraft, 0716 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 50 კრედიტი (სასწავლო კომპონენტი) |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება № 516 |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ჯუმბერ ჩოგოვაძე, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ზაზა ჟორჟოლიანი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მზევარ გოგილავა, ქ. თბილისის |

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| ქვეყანა) | მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სატრანსპორტო ნაკადების ავტომატიზებული მართვის სამსახურის უფროსი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ თავხელიძე, გრიგოლ რობაქიძის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის დირექტორი, დოქტორანტი, საქართველო |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ პირობას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ეფექტიანი სატრანსპორტო სისტემა. დღეისათვის არ არსებობს სოციალური და საწარმოო სფერო, რომლის ფუნქციონირება და განვითარება არ იყოს ძირეულად დამოკიდებული ტრანსპორტზე.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი ათეული წლების განმავლობაში, ქვეყნის შიდა ბაზრისათვის, ამზადებს ტრანსპორტის ინჟინერიის მიმართულების კვალიფიციურ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტებს.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, „სავტომობილო ტრანსპორტი“-ს და „სარკინიგზო ტრანსპორტი“-ს დეპარტამენტების ბაზაზე ხორციელდება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“, რომელსაც აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №516 გადაწყვეტილებით.

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის, №01-05-04/20 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა პროგრამის და სილაბუსების მოდიფიცირება, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით 2020 წელს დაზუსტდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, განისაზღვრა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი. განხორციელდა პროგრამის და სასწავლო კურსების სილაბუსების მოდიფიცირება, მათ შორის განახლებულია ლიტერატურა, შეცვლილია შეფასების კომპონენტები და მეთოდები. პროგრამას დაემატა სასწავლო კომპონენტები: ნაცვლად 30 კრედიტისა სასწავლო კომპონენტი გახდა 50 კრედიტი.

პროგრამის თანმხლები წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს საჭირო ინფორმაციას და ლოგიკურად ებმის ერთმანეთს. ინტერვიუების დროს გამოჩნდა ხელმძღვანელობის, პერსონალის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობა და პროგრამით დაინტერესება.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი (შემდგომში - ვიზიტი) განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანებით (№321370, 05.04.2021) შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი ან ექსპერტები) მიერ.

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის მიხედვით, კომბინირებული ფორმით; 16.04. - პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (ადგილზე ვიზიტით და დისტანციური ვიდეო კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით), 19.04-20.04 - უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირებთან გასაუბრება (დისტანციური ფორმით, Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით).

ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტებს მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები, განემარტათ მათი უფლებამოვალეობები და დაზუსტდა ვიზიტის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ჩატარდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები: ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული სტანდარტები/დავალებები, მოხდა მოსაზრებების ურთიერთგაზიარება. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით: ექსპერტებმა შეისწავლეს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა პირებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი წინასწარი მიგნებები.

საკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

საკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოავლინა მაქსიმალური მობილიზება და უზრუნველყო ყველა პირობა იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხები სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ტრანსპორტი“ სააკრედიტაციო შეფასების დასკვნის პროექტზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის საინიციატივო ჯგუფი სააკრედიტაციო სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში I სტანდარტის შეფასებას ნაწილობრივ იზიარებს, ხოლო II, III, IV და V სტანდარტის შეფასებას სრულად იზიარებს. ქვესტანდარტის ზოგიერთ რეკომენდაციასთან მიმართებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რომელთა შესახებ, ნაწილი დასკვნაშია მითითებული და აუცილებლობის შემთხვევაში, დანარჩენს ზეპირი მოსმენისას გაგაცნობთ ექსპერტთა ჯგუფის შეჯერებულ აზრს.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის 1.1 კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 1.2 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტანდარტის 2.1, 2.2, 2.3, 2.4 და 2.5 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 2.6 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის კომპონენტი 3.1. და 3.2 შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის 4.1, 4.2 და 4.4 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 4.3 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ამ სტანდარტის 5.1 და 5.3. კომპონენტები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სტანდარტის 5.2 კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. გადაიხედოს პროგრამის შედეგების რუკა, რათა შინაარსიდან გამომდინარე სასწავლო კურსი, სწორად იყოს ასახული შესაბამისი სწავლის შედეგის ფორმირებაში;
2. გადაიხედოს „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესის (2020 წლიდან მოდიფიცირებული/დამტკიცებული სადოქტორო პროგრამებისთვის) დანართი #01-ში მითითებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებისა და ქულათა გრადაციის ნაწილში. ასევე, სილაბუსებში მითითებული შეფასების კრიტერიუმებისა და მათი ქულობრივი ექვივალენტების, ასევე სწავლის შედეგებისა და შეფასების კომპონენტების ურთიერთშესაბამისობა.
3. დოქტორანტების მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულებისათვის გაფართოვდეს ურთიერთობები სფეროს წამყვანი კომპანიების ლაბორატორიებთან.
4. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მოცულობასთან (კრედიტების რაოდენობასთან), განათლების აღიარებასთან, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში.
5. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით;
6. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია მეტად მკაფიო გახდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

2. დოქტორანტების მეტი ინფორმირებისათვის სასურველია პროგრამის კურიკულუმში ასახული იყოს პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების პროცესი;
 3. უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სადოქტორო დისერტაციების გაფორმებას.
 4. პროგრამის განვითარების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა განახორციელოს მეტი აქტივობა დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიებისათვის;
 5. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით.
 6. მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც საქართველოს დარგობრივი ორგანიზაციებისა და უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით.
 7. მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
 GTU-tables, რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ჩვენების შესაძლებლობა.
 - **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| |
|---|
| <p>1.1 პროგრამის მიზნები</p> |
| <p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>„ტრანსპორტის“ დოქტორანტურის პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია მოამზადოს ტრანსპორტის (საავტომობილო, სარკინიგზო) დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სიღრმისეული ცოდნის მქონე ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებების დაპროექტების, შენარჩუნების, განვითარების და მომსახურების მიმართულეებით აქტუალური და კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით შესრულებული სამეცნიერო კვლევის საფუძველზე ახალი ცოდნის გენერირებას და პედაგოგიურ საქმიანობას.</p> <p>პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლის შედეგებთან, შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და მიღწევადია.</p> <p>პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება განსაზღვრულ კვალიფიკაციას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და განვითარების სტრატეგიას.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ნათლად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულებს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვთ მათ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია; 2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ.; 3. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულება; 4. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მისია; 5. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019; 6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“; 7. ინტერვიუს შედეგები. |
| <p>რეკომენდაციები</p> <p>-</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)</p> <p>-</p> |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p> |

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან, შინაარსთან და მისაწინააღმდეგებელ კვალიფიკაციასთან, მოიცავს ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, არის ძირითადად მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რეალისტური, გაზომვადი, მიღწევადი. შედეგების მეტი წილი შეესაბამება სადოქტორო საფეხურის კვალიფიკაციის დონეს და ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

- აღწერს ტრანსპორტის (საავტომობილო, სარკინიგზო) დარგში არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას, უახლეს მიღწევებზე დამყარებულ სამეცნიერო კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებს, კვლევის წარმართვის მეთოდოლოგიას და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნების გზებს;
- კრიტიკულად იაზრებს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს არსს და მიზანს, თანამედროვე მიღწევებისა და მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას ტრანსპორტის დარგის ფუნქციონირების ეფექტიანად წარმართვისა და განვითარებისათვის;
- აანალიზებს კვლევისათვის გამოსაყენებელი მეთოდების და მოწყობილობების ეფექტიანობას სატრანსპორტო საშუალებების დაპროექტების, განვითარების, ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნებისა და მომსახურების პრობლემური საკითხების გადასაჭრელად;
- გეგმავს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს ტრანსპორტის დარგში სისტემური კვლევების ეფექტიანად წარმართვის მიზნით;
- აფასებს ლოგისტიკური მიდგომით ტრანსპორტის დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, აგრეთვე საიმედოობის, მოძრაობის უსაფრთხოების, ეკოლოგიურობის ოპტიმიზირების შედეგებს;
- გადაჭრის ტრანსპორტის დარგში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს ორიგინალური გზების მოძიებით და პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ასაბუთებს სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების დაგეგმვის, სწორად რეალიზების და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აუცილებლობას მოსალოდნელი ტექნიკურ-ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით;
- აჯამებს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევის შედეგებს, რაც აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;
- ახორციელებს სასწავლო აქტივობებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები მითითებულია

შედეგების რუკაში, თუმცა, უნდა მოხდეს არსებული ინფორმაციის გადახედვა, რათა გამოირიცხოს რიგ შემთხვევაში, იმ სასწავლო კურსების მითითება, რომლებიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე ვერ მონაწილეობენ ამა თუ იმ სწავლის შედეგის ფორმირებაში (მაგ., შედეგებში #01 (აღწერს ტრანსპორტის დარგში არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას, კვლევის წარმართვის მეთოდოლოგიას და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნების გზებს), #02 (კრიტიკულად იაზრებს სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს არსს და მიზანს, ... ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას ტრანსპორტის დარგის ფუნქციონირების ეფექტიანად წარმართვისა და განვითარებისათვის) და #03 (ანალიზებს კვლევისათვის გამოსაყენებელი მეთოდების და მოწყობილობების ეფექტიანობას სატრანსპორტო საშუალებების დაპროექტების, განვითარების, ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნების და მომსახურების პრობლემური საკითხების გადასაჭრელად) გაღრმავების დონეზე მითითებულია სასწავლო კურსი „სწავლების მეთოდები“.

პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება მოიაზრებს პირდარირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებას. სწავლის შედეგების შეფასების სქემაში მითითებულია შეფასების რუბრიკები და სამიზნე ნიშნულები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული შეფასების მეთოდით მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა დაგეგმილ სწავლის შედეგს, ამ მიზნით ხდება სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება. პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შემუშავება/განვითარებაში და შეფასებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. სასწავლო პროცესის და სწავლების ხარისხის პერიოდულ შეფასებას ახორციელებს სტუ-ს აკადემიური პერსონალისაგან შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების საფაკულტეტო კომისია. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოსაზრებები, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, კოლეგიალური შეფასებებისას გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები.

პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლით დასტურდება, რომ პროგრამა თავისი შედეგებით შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის პროგრამა „ტრანსპორტი“;
2. პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
3. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი“;
5. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი;
6. კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
7. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

1. გადაიხედოს პროგრამის შედეგების რუკა, რათა შინაარსიდან გამომდინარე სასწავლო კურსი, სწორად იყოს ასახული შესაბამისი სწავლის შედეგის ფორმირებაში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | <input checked="" type="checkbox"/> | | | |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კურიკულუმში მითითებულის თანახმად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტრანსპორტი“ დაიშვება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა Engineering, Manufacturing and Construction შესაბამისი განათლების, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია გადაიხედოს (შეიცვალოს და/ან დაზუსტდეს) და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს მოთხოვნები პროგრამაზე სწავლის მსურველთა კვალიფიკაციის ან დამატებითი მოთხოვნების ნაწილში, რადგან წინაპირობებში მითითებული დაშვების ფართო სფერო 07 (ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა) გარდა 0716 – „ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები“, ასევე მოიცავს ისეთ დეტალურ სფეროებს, როგორცაა, მაგალითად: 0711 ქიმიური ინჟინერია და პროცესები; 0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია; 0713 ელექტრობა და ენერჯია; 0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია; 0715 მექანიკა და ლითონის საქმე; 0721 სურსათის გადამამუშავება; 0722 მასალები (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა); 0723 ტექსტილი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავი) და ა.შ., რომლებშიც მხოლოდ მაგისტრის აკადემიური ხარისხი ვერ იქნება ტრანსპორტის სადოქტორო პროგრამის დაძლევისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის არსებობის გარანტია.

პროგრამაზე სწავლისთვის, ასევე, სავალდებულოა ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი ან სტუ-ის საგამოცდო ცენტრში გამოცდის ჩაბარება (აპლიკანტს, რომელსაც გავლილი აქვს უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ინგლისურენოვანი პროგრამა სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება) - დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება კვლევის მიზანი და მიმართულება. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობის წესით. პროგრამაზე ჩარიცხვა და პროგრამაზე მობილობით (მათ შორის უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან) სწავლის გაგრძელება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი დადგენილი ვადებისა და სავალდებულო პროცედურების დაცვით. დოქტორანტურაში მიღების წესი და პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: https://gtu.ge/Science/Doctorate_Department.php.

პროგრამა განთავსებულია სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდზე და შესაძლებელია როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, ასევე პროგრამის შინაარსობრივი ნაწილის შესახებ ინფორმაციის მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება;
3. სტუ-ს აკადემიური საბჭოს აკადემიური საბჭოს მიერ 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია“;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულება;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ვებგვერდები;
6. ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დოქტორანტებთან;
7. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების დანართი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი.

რეკომენდაციები-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია მეტად მკაფიო გახდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში ჩართული უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ასევე ამ პროცესში ჩართული სხვა პირები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დარგის სპეციალისტები) ხელმძღვანელობენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და კომპლექსურობა შესაბამისობაშია დოქტორანტურის (უმაღლესი განათლების მესამე) დონესთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. პროგრამის სასწავლო კომპონენტები შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS), საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ერთი კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ნაწილისაგან, მოიცავს 50 კრედიტს (მათ შორის არჩევითი – 12 კრედიტი), რომელიც დოქტორანტმა უნდა გაიაროს პირველ და მეორე სემესტრში. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“
2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულება;
4. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართული პირების მონაწილეობის ამსახველი ოქმი;
5. ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან;
6. უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|--|
| <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები შეესაბამება დოქტორანტურის დონეს და პროგრამის სწავლის შედეგებს. ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნის, მისაღწევი სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლასწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. პროგრამაში არსებული ყოველი სასწავლო კურსისთვის განსაზღვრულია კავშირები პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას და რელევანტურია.

თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, მითითებულია კურსის შესწავლისათვის ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ტრანსპორტის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პერმანენტულად ახორციელებს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრებას და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“, პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
3. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
4. დამსაქმებელთა, სტუდენტების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის სამეცნიერო/კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, ხოლო სასწავლო კურსი „პროფესორის ასისტენტობა“ შინაარსობრივად მოიცავს პედაგოგიური საქმიანობის კუთხით პრაქტიკული უნარების განვითარებას.

დოქტორანტებს შესაძლებლობას აქვთ მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. დოქტორანტი, სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წარდგენამდე, აქვეყნებს სულ მცირე სამ სამეცნიერო სტატიას, სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდებულ და სტუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ ამ მიზნით აღიარებულ გამოცემებში ან დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალებში. დოქტორანტი სწავლის პერიოდში იღებს მონაწილეობს (პირადად აკეთებს მოხსენებას) არანაკლებ ერთ ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ასახული უნდა იქნეს კონფერენციების თეზისების კრებულში. ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, ფაკულტეტზე ტარდება დარგობრივი სემინარები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ დოქტორანტები. უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი, და ტრანსფერული უნარების განვითარებაში.

დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუებიდან გამოკვეთა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად უწყობს ხელს დოქტორანტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში და მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, რეგიონული დონის კვლევით პროექტებსა და სხვა ღონისძიებებში, ფაკულტეტზე განხორციელებად სხვადასხვა სახის საგრანტო პროექტებში.

პროგრამა (დისერტაციის დაცვის ჩათვლით) უზრუნველყოფს დოქტორანტის მომზადებას მომავალი პედაგოგიური (საგანმანათლებლო) და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ, დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს და სხვადასხვა მოთხოვნებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. თუმცა, ინტერვიუების შედეგად შეიძლება გამოვყოთ, რომ კურსდამთავრებულებმა ვერ შეძლეს აეხსნათ პლაგიატზე ნაშრომის შემოწმებისას რამდენი პროცენტია დასაშვები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“
2. სტუ-ს სამეცნიერო კონფერენციები;
3. სტუ-ს ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“
4. ინტერვიუები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. დოქტორანტების მეტი ინფორმირებისათვის სასურველია კურიკულუმში ასახული იყოს პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების პროცესი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევისთვის გამოიყენება ინტერაქტიური სწავლების თანამედროვე მეთოდები და აქტივობები, რომლებიც გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება, როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის უშუალო მონაწილეობით, ისე დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსის განმახორციელებელი თავად განსაზღვრავს რომელი მეთოდი/მეთოდები გამოიყენოს. სემინარი და კოლოკვიუმები ითვალისწინებს პრობლემური საკითხის საფუძვლიანად დამუშავებასა და მოხსენების მომზადებას. სასემინარო მოხსენებისათვის შეირჩევა საკითხები, რომელთა დამუშავება საჭიროებს ლექციებზე მიღებული ცოდნის სათანადოდ გააზრებას, მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზსა და საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. კოლოკვიუმების ჩატარების დროს ხდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი (კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი).

პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები სრულ შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან. სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
2. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსები);
3. სწავლება/სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები;
4. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწია დოქტორანტმა პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და ხელს უწყობს დოქტორანტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. ასევე, გათვალისწინებულია დამატებითი გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა. შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს 40 ქულას, ხოლო შუალედური შეფასების ხვედრითი წილი - ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შეფასების შემდეგ კომპონენტებს:

- სტუდენტის მიმდინარე აქტივობა - 30 ქულა;
- შუასემესტრული გამოცდა - 30 ქულა;

შუალედური შეფასებების (მიმდინარე აქტივობების და შუასემესტრული გამოცდის) მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა 30 ქულა. დასკვნითი/დამატებითი გამოცდა დაძლეულად ითვლება დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური 40 ქულიდან არანაკლებ 21 ქულის მიღების შემთხვევაში. პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასებაში:

- დადებითი შეფასებებია: (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა;
- უარყოფითი შეფასებებია: (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. შეფასება FX-ის მიღების შემთხვევაში შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში ინიშნება დამატებით გამოცდა; დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფს დოქტორანტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. დოქტორანტს შეუძლია სასწავლო კურსის განმახორციელებელთან კომუნიკაციით მიიღოს რჩევები ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ან მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (კერძოდ, სადისერტაციო ნაშრომის) შეფასება ხდება ერთჯერადად, ნაშრომის საჯარო განხილვისათვის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის მიერ შეფასების შემდეგი სისტემის მიხედვით:

- დადებითი შეფასებები: ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- უარყოფითი შეფასებები: არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა. შეფასების სისტემა მითითებულია პროგრამაში, შეფასების კრიტერიუმები ხელმისაწვდომია დოქტორანტებისთვის.

სტუ-ში სტუდენტს აქვს სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების უფლება: დოქტორანტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას (მიმდინარე შეფასება, შუასემესტრული/დაკვნიტი/დამატებითი გამოცდა, ტესტირება, თემატური სემინარი, დისერტაციის, ნაშრომის, თემატური პროექტის, დაცვა და სხვა სახის გამოცდა/ტესტირება/შეფასება), უფლებამოსილია შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. საჩივარს განიხილავს და შესაბამის დასკვნას შეიმუშავებს დეკანის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია. დასკვნის საფუძველზე დეკანი იღებს გადაწყვეტილებას ან უზრუნველოფს საკითხის ფაკულტეტის საბჭოზე განხილვას.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე გარემოება, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას, კერძოდ:

- 1) „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესის (2020 წლიდან მოდიფიცირებული/დამტკიცებული სადოქტორო პროგრამებისთვის) დანართი #01-ში მითითებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა საჭიროებს დახვეწას, მაგ., 4-5 ქულა - ნაშრომში მკაფიოდ არის წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის შედეგების სანდოობა და მისი მნიშვნელობა / 4-3 - ნაშრომში არ არის წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის შედეგების მდგრადობა და სანდოობა; 5-6 -სადისერტაციო ნაშრომში მკაფიოდ ჩანს კვლევის ხარისხი და მისი პროდუქტიულობა / 5 – 4 - სადისერტაციო ნაშრომში არ არის წარმოდგენილი კვლევის ხარისხი და მისი პროდუქტიულობა; და ა.შ.
- 2) პროგრამის რამდენიმე სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში უნდა გადაიხედოს: ა) შეფასების კრიტერიუმები და მათი ქულობრივი ექვივალენტების რელევანტურობა, მაგ., სასწავლო კომპონენტში „პროფესორის ასისტენტობა“ მითითებულია: „2 ქულა - დოქტორანტი პრაქტიკულად მოუმზადებელია; 1 ქულა - დოქტორანტი სრულად მოუმზადებელია“; ბ) სწავლის შედეგების და შეფასების კომპონენტების ურთიერთშესაბამისობა, მაგ., სასწავლო კურსი „სწავლების მეთოდები“ (სწავლის შედეგი: „წარმართავს სასწავლო აქტივობებს, პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს და ტექნოლოგიებს“) გამოყენებული შეფასების მეთოდებია: რეფერატი/პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები, ღია კითხვიანი ტესტი, არგუმენტირებული ესსე და თეორიული საკითხები; და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“
2. სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები);
3. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვრის №198 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“

4. „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი (2020 წლიდან მოდიფიცირებული/დამტკიცებული სადოქტორო პროგრამებისთვის) (დანართები #01, 12);
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს და დოქტორანტურის დებულება;
6. დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა;
7. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

1. გადაიხედოს „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესის (2020 წლიდან მოდიფიცირებული/დამტკიცებული სადოქტორო პროგრამებისთვის) დანართი #01-ში მითითებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებისა და ქულათა გრადაციის ნაწილში. ასევე, სილაბუსებში მითითებული შეფასების კრიტერიუმებისა და მათი ქულობრივი ექვივალენტების, ასევე სწავლის შედეგებისა და შეფასების კომპონენტების ურთიერთშესაბამისობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | <input checked="" type="checkbox"/> | | | |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით

მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური კადრის მომზადებაზე, მისი მიზანია მოამზადოს ტრანსპორტის, საავტომობილო, სარკინიგზო) დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სიღრმისეული ცოდნის მქონე ტრანსპორტის ინჟინერიის დოქტორი, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებების დაპროექტების, შენარჩუნების, განვითარების და მომსახურების მიმართულებით აქტუალური და კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირებას, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით შესრულებული სამეცნიერო კვლევის საფუძვლზე ახალი ცოდნის გენერირებას და პედაგოგიურ საქმიანობას.

დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა აღნიშნული მიზნის მისაღწევად სრულად მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის თაობაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზებზე, დასაქმებისა და კარიერულ განვითარების შესაძლებლობებზე. ამ ინფორმაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია საჯაროა, ხელმისაწვდომია და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე ასევე შეუძლია მიიღოს შესაბამისი საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული, ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალისაგან. აღნიშნული დადასტურებული იქნა ინტერვიუებზე გამოთქმული მოსაზრებებით.

გასაუბრების პროცესში დადგინდა, რომ პროფესიის სპეციფიკიდან და ბაზარზე მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, ყველა დოქტორანტი დასაქმებულია. ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ ისინი იღებენ პროგრამის ხელმძღვანელისა და სხვა აკადემიური პერსონალისაგან. ასევე კარიერული განვითარების ცენტრისგან, რომლის მიზანია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა.

ერთერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში განხორციელებული სამეცნიერო კვლევის შედეგები გამოიყენა თავის სამსახურში საქმიანობის პროცესში. ასევე კურსდამთავრებულმა და დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ მათ ქონდათ შემოთავაზება გაეგრძელებინათ პედაგოგიური საქმიანობა, მაგრამ რამოდენიმე მათგანმა უარი განაცხადეს დატვირთული მუშაობის გრაფიკის გამო, ვინაიდან ისინი საკმაოდ მნიშვნელოვან თანამდებობებს იკავებენ სხვადასხვა ორგანიზაციებში. რკინიგზის პროფესიული კოლეჯი პრაქტიკულად დაკომპლექტებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებითა და კურსდამთავრებულებით. სადოქტორო პროგრამას „ტრანსპორტი“ აკრედიტაცია მიენიჭა 2012 წელს. აღსანიშნავი ფაქტია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა 100 პროცენტია, ხოლო კვალიფიკაციის შესაბამის 79 პროცენტია დასაქმებული.

პროგრამის ფარგლებში დოქტორანტებს უწევთ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, თუმცა მათ აქვთ საშუალება მიმართონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომელიც დაეხმარება ამ მიმართულებით, ეს ფაქტი დაადასტურეს როგორც დოქტორანტებმა, ასევე ფაკულტეტის წარმომადგენლებმა.

დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ იცნობენ მოდერნიზირებულ სადოქტორო პროგრამას, რომლის გავლის შემდეგ მათ განუვითარდებათ ის კვლევითი უნარ-ჩვევები, რაც გამოადგებათ თავიანთ საქმიანობაში. დოქტორანტები აღნიშნავენ, რომ მათ ემსახურებათ მაღალკვალიფიციური, გამოცდილი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გადიან საინტერესო საგნებს, მაგალითად სამეცნიერო კვლევის მეთოდები ლოჯისტიკა, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვან კომპონენტად თვლიან. დოქტორანტებს შეუძლიათ შეუზღუდავად დაუკავშირდნენ როგორც პროგრამის, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს დახმარებისა და ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაციის მისაღებად.

პროგრამა დადებითად შეაფასეს დამსაქმებლებმა, ისინი ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია დამსაქმებლის მოთხოვნა.

სტუ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. ეს ფაქტი დაადასტურეს

დოქტორანტებმა და აღნიშნეს, რომ პერმანენტულად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით, ასევე მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში, რომელსაც ორგანიზებას უწევს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თუმცა დოქტორანტები და კურსდამთავრებულები, რომლებთანაც ექსპერტებს ქონდათ შეხვედრა, არ ყოფილან გაცვლითი პროგრამის მონაწილეები მიუხედავად იმისა, რომ სტუ-ს ნამვილად ძალიან საინტერესო საერთაშორისო პროგრამები აქვს. დოქტორანტები არიან დასაქმებულები და ამის გამო გაუჭირდებოდათ წასვლა საერთაშორისო პროგრამით. თუმცა ერთ-ერთ სტუდენტს ახლა აქვს შოთა რუსთაველის ფონდში შეტანილი განაცხადი (კვლევითი პროექტი). ასევე ლექტორებმაც და დოქტორანტებმაც აღნიშნეს, რომ ყველა საგრანტო პროექტში, რომელშიც ფაკულტეტი იღებს მონაწილეობას, განსაკუთრებით ეს ეხება შოთა რუსთაველის ფონდს, ხდება დოქტორანტების ჩართვა.

დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ გამოკითხვებში, რომელიც მათ ეგზავნებათ. ამავდროულად, მათ აქვთ საშუალება ნებისმიერ დროს, ნებისმიერ საკითხზე მიმართონ ფაკულტეტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაკულტეტი მყისიერ გადაწყვეტილებას იღებს და ეხმარება დოქტორანტს პრობლემის დაძლევაში. პროგრამის განმახორციელებლები და ფაკულტეტის წარმომადგენლები ორიენტირებულნი არიან დოქტორანტების ინტერესებზე, მათ მოთხოვნებსა თუ ინიციატივებზე. დოქტორანტების აღნიშნავენ მეგობრულ გარემოს, რომელიც მათ ფაკულტეტზეა.

უნივერსიტეტში პერმანენტულად ტარდება Job Fair, დოქტორანტებს აქვთ საშუალება შეხვედნენ დამსაქმებელს და უშუალოდ მიიღონ ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ. ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დამსაქმებელია „თეგეტა მოტორსი“, ვიზიტის დროს საშუალება გვქონდა გვენახა ამ კომპანიის მხარდაჭერით შექმნილი ლაბორატორია, რამაც ნამდვილად მოახდინა შთაბეჭდილება ექსპერტებზე.

უნივერსიტეტს აქვს ძალიან მოქნილი ელექტრონული სისტემები, მაგალითად: E-learning და lectori.ge, სადაც სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ წიგნებზე, ასევე ლექციებზე და სასწავლო მასალაზე, ეცნობიან ინფორმაციას მიღებულ შეფასებებზე, რომლებიც იტვირთება ერთი კვირის განმავლობაში. დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ შეფასებებს სისტემაში ძალიან მალე ტვირთავენ ლექტორები და ამასთან მიმართებაში არ შექმნიათ პრობლემა.

უნივერსიტეტის ძალიან საინტერესო ინიციატივაა ახალი პლატფორმა GTU-tables, რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ჩვენების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
3. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულება;
4. ელექტრონული პორტალი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა <https://leqtori.gtu.ge>
5. კვლევის ანგარიში
6. ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან, დოქტორანტებთან, დამსაქმებლებთან და პროგრამის განმახორციელებლებთან

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

GTU-tables, რომელსაც აქვს: ინტერფეისის ენის შეცვლის (ქართული, ინგლისური, რუსული); ლექტორის სახელისა და გვარის მიხედვით სასწავლო ცხრილის მოძებნის; ცხრილის დამახსოვრების; ცხრილის განახლების შესახებ ინფორმაციის მიღების; ლექციების განრიგის ავტომატური შეხსენების ფუნქციის

| |
|--|
| დაყენების; ავტორიზებული მომხმარებლისთვის ცხრილის ავტომატურ რეჟიმში ჩვენების შესაძლებლობა. |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| - |
| შეფასება |
| <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|--|
| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დოქტორანტებს ხელმძღვანელობას და კონსულტაციებს უწევს მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ დიდი გამოცდილება როგორც სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში ჩართულობით და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მხრივ, ასევე გამოირჩევიან ტრანსპორტის სფეროში პრაქტიკული ცოდნით. აღნიშნული კიდეც უფრო მეტ საშუალებას აძლევს დოქტორანტს მიიღოს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა ხელმძღვანელებისაგან და აკადემიური პერსონალისაგან, არამედ გაიზიაროს მათი პრაქტიკული გამოცდილებაც.</p> <p>დოქტორანტის ინტერესის სფეროდან გამომდინარე, სამეცნიერო ხელმძღვანელთან (შემდგომში - ხელმძღვანელი) კონსულტაციების შედეგად, აირჩევა სადისერტაციო ნაშრომის თემა. ხელმძღვანელის ფუნქციები და ვალდებულებები დეტალურადაა გაწერილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში. ხელმძღვანელი სისტემატურ ზედამხედველობას უწევს დოქტორანტის მუშაობას, კვლევის მიმდინარეობას და ხარისხს, რეგულარულად უწევს კონსულტაციებს, ეხმარება ნაშრომის გეგმის შედგენაში, უახლესი რელევანტური ლიტერატურის და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასა და სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნების პროცესში. დოქტორანტებს აქვთ ხელმძღვანელთან დაგეგმილი საკონსულტაციო შეხვედრები, ასევე კვლევის და ნაშრომის მომზადების პროცესში მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ ხელმძღვანელს.</p> <p>ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადაიხედა დაცული დისერტაციები, რის შედეგადაც აღინიშნა, რომ ისინი აკმაყოფილებენ სადოქტორო კვლევითი ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. დისერტაციების გაფორმებაში შეიმჩნევა ზოგიერთი ხარვეზი.</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება; 2. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და გამოქვეყნებული შრომების სიები; 3. პირადი საქმეები და სამეცნიერო აქტივობები; 4. ხელმძღვანელების პირადი საქმეები და სამეცნიერო აქტივობები; 5. დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა https://gtu.ge/Science/doctorantura.php; 6. დაცული დისერტაციები; 7. ინტერვიუები დოქტორანტებთან, კურსდამტავრებულებთან, თემის ხელმძღვანელებთან |
| რეკომენდაციები |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სადოქტორო დისერტაციების გაფორმებას.</p> |

| |
|---|
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): - |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - |
| შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | <input checked="" type="checkbox"/> | | | |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| |
|--|
| <p>4.1 ადამიანური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მაღალი პროფესიონალური კომპეტენციის მქონე 23 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 11 პროფესორია), 4 მოწვეული პროფესორი და 1 მეცნიერი. აკადემიური პერსონალიდან 18 პირი აფილირებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულებით.</p> <p>პროგრამის განხორციელებელ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებია და პირადი საქ-</p> |
|--|

მეების (მათ შორის, შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობა) შესწავლით დასტურდება, რომ თითოეულ მათგანს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რომელიც სრულად შეესაბამება აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის მიმართ უნივერსიტეტის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

არსებობს აკადემიური პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია, ასევე, საკონსულტაციო და პროგრამის განვითარების პროცესში. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, თითოეულ პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობას სტუდენტთა არსებული და მისაღები კონტინგენტის რაოდენობას. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია დოქტორანტების რაოდენობისა, ხოლო აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა 23:4 უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის გაცნობისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა, სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, 2 სახელმძღვანელო, 3 სალექციო კურსი, არის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის წევრი, 2009 წლიდან დღემდე მუშაობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების სრული მხარდაჭერით. პროგრამას უშუალოდ ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც მუშაობენ სტუ-ს და ფაკულტეტის შესაბამის სამსახურებსა და სტრუქტურულ ერთეულებში.

მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და მათი პროფესიული წინსვლის ხელშეწყობის და სასწავლო პროცესში ჩართვის ფარგლებში ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულებიდან უნივერსიტეტში უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე მუშაობს პროგრამის 2 კურსდამთავრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/5 ბრძანება;
2. პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსი, 2016 წლის 20 ივლისის აკადემიური საბჭოს დადგენილება №2092;
3. პროგრამის პერსონალის პირადი საქმეები;
4. პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
5. სტუ-ის აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია;
6. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე დასაქმების და შენარჩუნების სტრატეგია. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №01-05-04/232.

რეკომენდაციები-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად აწარმოებს, აანალიზებს და აქტიურად იყენებს მათი შეფასებისა და კვლევის შედეგებს. შეფასების შედეგების კრიტერიუმებად გამოყენებულია აქტივობები აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობებში.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ეფექტური შეფასებისათვის დეპარტამენტის ხელმძღვანელების მიერ ყოველწლიურად ხორციელდება მათი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების მოძიება, რომელიც ეყრდნობა მათ მიერ შემდეგ სამუშაოებში მონაწილეობას:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით წინა წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები;
- სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) და/ან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები;
- საქართველოში და/ან უცხოეთში გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციები;
- საქართველოში ან/და უცხოეთში სამეცნიერო ფორუმებში, სემინარებში, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო/კვლევითი/საექსპერტო სამუშაოებში მონაწილეობა.

პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო, რომელიც განიხილავს სასწავლო კურს(ებ)თან წარმოდგენილი მასალის თავსებადობას, მიღებული დადებითი გადაწყვეტილება (ნაშრომის გამოქვეყნების შესახებ), ასევე, ემსახურება პერსონალის განვითარების შეფასებას.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გადის ტრენინგებს კარიერის დაგეგმვაში, სწავლა-სწავლებისა და სწავლის შედეგების შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიებში და სხვა.

პერსონალი საკუთარ მიღწევების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე, რომლის ბაზიდან პერსონალის მეცნიერული აქტივობის შესახებ ინფორმაციას პერიოდულად აფასებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შეფასების შედეგებს აცნობს დეპარტამენტის ხელმძღვანელებს. საფაკულტეტო კომისია აფასებს მეცადინეობების ხარისხს, კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შედეგებს, რომელიც გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და საბონუსე სისტემის წახალისების ფორმად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ხელშეწყობილია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აქტიური ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორკშოპების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონაგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშ-

რომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. აღნიშნული აქტივობების არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის კარიერულ ზრდაზე. აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა, პროგრამაში ჩართული პერსონალი სისტემატიურად იმაღლებს კვალიფიკაციას და მონაწილეობს კვლევებში საერთაშორისო პროექტებში და კონფერენციებში. პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტზე ყოველწლიურად ტარდება პოლონეთისა და სტუ-ს ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „ევროპა აზიის სატრანსპორტო ხიდი“. აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შესრულებულია 4 საგრანტო პროექტი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად ეწევა ჩატარებული კვლევის შედეგების პოპულარიზაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 <https://gtu.ge/AboutStu/strategic-plan.php>
2. აკადემიური პერსონალის CV, შრომების ჩამონათვალი, აფილირების და შრომითი ხელშეკრულებები, პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერთიფიკატები;
3. „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება;
4. „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის № 450 დადგენილება;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია;
6. აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი
7. ვებ გვერდი - „პროფესიული განვითარების ცენტრი“ (<http://hpep.ge/ge/>)
8. ფაკულტეტის ბიუჯეტი;
9. ინტერვიუს შედეგები;
10. გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო პროცესის წარმართვა უზრუნველყოფილია აუდიტორებით, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული კლასების და მატერიალური რესურსით. ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ემსახურება უნივერსიტეტის წიგნადი და ციფრულ მატარებლებზე არსებული საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფილია ელექტრული კატალოგით (OPAC სერვისი). კომპიუტერული კლასები, რომლებიც ჩართულია საერთაშორისო სამიებო სისტემაში, უზრუნველყოფს დარგის უახლესი მიღწევების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სასწავლო კურსებით განსაზღვრული ლიტერატურა ემყარება დარგის აქტუალურ მიღწევებს. ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ასევე, დოქტორანტებს შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული კატალოგით და სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული მონაცემთა ბაზით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დანერგილია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA", რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული, მათ შორის პერიოდული, გამოცემების მოძიება. ბიბლიოთეკის პერსონალი უზრუნველყოფს დოქტორანტებისა და პერსონალისთვის ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას, ეხმარება ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მეთოდური მასალა და ლიტერატურა სრულფასოვნად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამის ყველა კურსი უზრუნველყოფილია ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სტატიებით და დისერტაციებით, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუ-ის ბიბლიოთეკაში. ასევე, დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ციფრულ მატარებლებზე არსებული ლიტერატურით.

ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის პერსონალთან და ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მიმდინარეობს სასწავლო და კვლევითი გარემოს განახლება და გაუმჯობესება. თუმცა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დათვალიერებისას დაფიქსირდა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაწილი არის მოძველებული, არ არის დაცული შრომისა და უსაფრთხოების წესები. აღნიშნულს აცნობიერებს ფაკულტეტის ხელმძღვანელობა და მომავალში გეგმავს დამატებით მოახდინოს სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიების ინფრასტრუქტურის შემდგომი მოდერნიზება. აქვე აღსანიშნავია, რომ "ERASMUS+"-ის პროგრამის ფარგლებში იტალიური მხარის მხარდაჭერით იქნა შექმნილი თანამედროვე მიკრო- და მაკრო- სიმულაციური მოდელირების პროგრამები როგორცაა PTV VISSIM, VISUM და VISTRO. აღნიშნული პროგრამები ფართოდ გამოიყენება წამყვან ევროპულ ქვეყნებში, როგორც ურბანულ დონეზე სტატიკური მოდელირებისთვის ასევე ნებისმიერი სატრანსპორტო-საინჟინრო ჰიპოთეზის განსახორციელებლად. ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით გერმანიის ქალაქ ვისრამის უნივერსიტეტთან მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა. კვლევითი სამუშაოებისა და სამეცნიერო პროექტების შესასრულებლად უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ დარგობრივ საწარმოებთან: ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანა, ელმავალშენებელი ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, საქართველოს რკინიგზა, ვაგონშემკეთებელი კომპანია, კომპანია თეგეტა მოტორსი, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი, ანაკლიის განვითარების კონსორციუმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“
2. სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
3. სტუ-ის ბიბლიოთეკის კატალოგი;
4. ბიბლიოთეკის ვებ გვერდი <https://gtu.ge/Library/>
5. სამეცნიერო ლიტერატურა;

| |
|--|
| <p>6. საბიბლიოთეკო სისტემა "KOHA";</p> <p>7. ინტერვიუს შედეგები;</p> <p>8. მატერიალურ ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალისერება.</p> |
| <p>რეკომენდაციები</p> <p>1. დოქტორანტების მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულებისათვის გაფართოვდეს ურთიერთობები სფეროს წამყვანი კომპანიების ლაბორატორიებთან.</p> |
| <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p> |
| <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)-</p> |
| <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -</p> |
| <p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p> |

| |
|---|
| <p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p> |
| <p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p> |
| <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამისათვის ფინანსური რესურსების გამოყოფა ხდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად; დაფინანსება განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომლის მხლოდ ნაწილს შეადგენს პროგრამის დოქტორანტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური. ბიუჯეტი იანგარიშება პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის სახელფასო სარგო და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობა, ასევე წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული ხარჯი, რაც მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p> <p>უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობის რისკების შემთხვევაში (მცირე კონტიგენტის პირობებში) საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიუჯეტიდან პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი იქნება სათანადო ფინანსური რესურსი, რადგანაც ტრანსპორტის მიმართულება მიიჩნევა პერსპექტიულად. მიზანშეწომილია, რომ მოზიდული შემოსავლებიდან (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, სხვა შემოსავალი) დაფინანსების საჭირო რაოდენობა მიმართული იყოს პროგრამის მდგრადობის/განვითარების ხარჯებზე, რათა მოხდეს ლაბორატორიების და კომპიუტერული კლასების შესყიდვა/მოწყობა, საბიბლიოთეკო ფონდის განახლება, ინფრასტრუქტურის განახლება, და სხვ. ყოველივე აღნიშნული გააუმჯობესებს პროგრამისთვის გამოყენებული რესურსების მდგრადობას.</p> |
| <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>1. სტუ-ის ბიუჯეტი;</p> <p>2. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტი;</p> <p>3. პროგრამის ბიუჯეტი;</p> <p>4. ინტერვიუების შედეგები.</p> |
| <p>რეკომენდაციები-</p> |

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. პროგრამის განვითარების მიზნით სასურველია უნივერსიტეტმა განახორციელოს მეტი აქტივობა დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიებისათვის;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | <input checked="" type="checkbox"/> | | | |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამის შეფასების მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტები:

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი), რომლის თანახმად, „ხარისხი არის ობიექტის (მაგ., საქმიანობა, პროცესი, გაწეული მომსახურება, სხვ.) მახასიათებლების შესაბამისობის დონე დადგენილ მოთხოვნებთან“. ამ დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ორიენტირებულია ISO 9000 სერიის სტანდარტებთან და ESG-2015-ის („ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“) სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. სისტემის განვითარება ხდება ხარისხის მართვის პრინციპების შესაბამისად, ე. წ. PDCA ციკლის მიხედვით. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი: 1) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები (1.1. მომხმარებელზე ორიენტაცია, 1.2. ხელმძღვანელობის ლიდერობა, 1.3. თანამშრომელთა ჩართულობა, 1.4. მუდმივი გაუმჯობესება, 1.5. გადაწყვეტილებების მიღება ფაქტებისა და მონაცემების საფუძველზე, 1.6. ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა პარტნიორებთან) და 2) ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები (2.1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, 2.2.

პროგრამების შემუშავება და დამტკიცება, 2.3. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება, 2.4. სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება, 2.5. მასწავლებლები/ლექტორები, 2.6. სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა, 2.7. ინფორმაციის მენეჯმენტი, 2.8. საჯარო ინფორმაცია, 2.9. მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება, 2.10. ხარისხის პერიოდული გარე უზრუნველყოფა).

➤ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი), რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განვითარების პროცესებს, ადგენს პროგრამის შემუშავებისას გასათვალისწინებელ ასპექტებს (პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, მიზნები, შედეგები, მოცულობა კრედიტებში, სწავლების ენა, სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი, პროგრამის მდგრადობის შეფასება, სხვ.) და პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესში შეფასების კრიტერიუმებს.

პროგრამების შეფასების მიზნით უნივერსიტეტში იქმნება საფაკულტეტო კომისიები (უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებები №01-09-10/273, 17.11.2019; MES520001170216, 08.12.2020). ამ კომისიის წევრები არიან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამების კურატორები, დეპარტამენტების უფროსები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების პროცესის ორგანიზებისათვის გამოიყენება უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, რომელიც ადგენს შეფასებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებს, პროგრამის ხარისხის შეფასების და განვითარების ეტაპებს, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ციკლს და პროცესების თანმიმდევრობას. ამავე დოკუმენტის გამოყენებით დგინდება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა; სასწავლო კურსები/პროგრამის სხვა კომპონენტები, რომლითაც ფასდება სწავლის შედეგის მიღწევა, და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა სასწავლო კურსების/პროგრამის სხვა კომპონენტების სწავლის შედეგებთან; შეფასების ინდიკატორები, ინსტრუმენტები და სხვ. პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მაქანიზმებად გამოიყენება ჩატარებული მეცადინეობის ხარისხის შეფასება და დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევა (დამსაქმებლების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დოქტორანტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები).

მიუხედავად გამართული ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლებისა, წარმოდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის შესწავლის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ვიზუალური დათვალიერებისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი - ძირითადად, მოქმედი რეგულაციების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული და პროგრამის განხორციელებისა და განვითარების შესაძლებლობებზე გავლენის მქონე ასპექტი. კერძოდ: შეფასების პროცესში ხდება ცალკეული ასპექტების შესწავლა, რაც არ იძლევა შეფასების შედეგებზე სწორი რეაგირების, რემონტ-დაცების და შესრულების კონტროლის შესაძლებლობას. აუცილებელია პროგრამის ეფექტიანობის და მდგრადობის მრავალმხრივი კომპლექსური შეფასება-ანალიზი (მათ შორის, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, პრობლემური/გასაუმჯობესებელი ასპექტები, რისკები, პროგრამის განვითარების შესაძლებლობები/მექანიზმები; პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მიერ პროგრამის შეფასება; უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან შედარება, სხვ.). პროგრამის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რამდენიმე საუნივერსიტეტო რეგულაციაში ცალკეული ცვლილებების აუცილებლობა.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები გახდა დასკვნის პროექტში მითითებული 2 რეკომენდაციის საფუძველი:

- რეკომენდაცია #4 *(აუცილებელია მოხდეს პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესების მომწესრიგებელი რეგულაციების სრული იმპლემენტაცია, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით)* - უნივერსიტეტს აქვს გამართული ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლები, გასაუმჯობესებელ ასპექტს კი წარმოადგენს მოქმედი რეგულაციების არასრული იმპლემენტაცია (მათ შორის, პროგრამის ეფექტიანობის და მდგრადობის მრავალმხრივი კომპლექსური შეფასება-ანალიზის, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, პრობლემური/გასაუმჯობესებელი ასპექტების რისკების, პროგრამის განვითარების შესაძლებლობების/მექანიზმების, პროგრამის დინამიკის, უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების, მიღებული შედეგების გამოყენების მიმართულებით). რეკომენდაცია შესრულებული იქნება, თუ შემდგომში, შიდა შეფასების (პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასების) პროცესში, დაწესებულება მოახდენს ყველა მის მიერ დადგენილი მიდგომისა და მექანიზმის გამოყენებას. ამ მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს როგორც დაწესებულების რეგულაციებში აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტური მექანიზმები და პროცედურები, ისე დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში დაფიქსირებული მზაობა გაითვალისწინოს როგორც წინამდებარე, ისე #5.3. ქვესტანდარტის რეკომენდაცია პროგრამის შიდა შეფასების და განვითარების პროცესთან დაკავშირებით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში მითითებულია რეკომენდაცია #5 ნაწილობრივ გადატანილია 5.3. ქვესტანდარტის რეკომენდაციის ნაწილში, ნაწილი კი - წინამდებარე ქვესტანდარტის პროგრამის განვითარებისთვის რჩევების ნაწილში, თუმცა ქვესტანდარტის შეფასება დარჩა უცვლელი, რადგან ამ ეტაპზე სრული შესაბამისობა დადასტურებული არ არის.
- რეკომენდაცია #5 *(კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მოცულობასთან (კრედიტების რაოდენობასთან), განათლების აღიარებასთან, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში)* - ექსპერტთა ჯგუფი ეჭვქვეშ არ აყენებს უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ადმინისტრაციული და სხვა პროცესების განხორციელებას მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით. რეკომენდაცია გულისხმობს არა უნივერსიტეტის საქმიანობის შეუსაბამოდ განხორციელებას, არამედ მხოლოდ საერთო საუნივერსიტეტო რეგულაციაში კონკრეტული ჩანაწერების კორექტირების საჭიროებას. წინამდებარე დასკვნის მომზადების მომენტისთვის შესაბამისი ცვლილებები უკვე განხორციელებულია, რაც დასტურდება მათ შორის დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული ინფორმაციით. თუმცა რეკომენდაცია: „კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მოცულობასთან (კრედიტების რაოდენობასთან), განათლების აღიარებასთან, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში“ ამ ეტაპზე რჩება უცვლელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ვიზუალური დათვალიერება;
2. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
4. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებები (№01-09-10/273, 17.11. 2019 და MES520001170216, 08.12.2020)

- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ;
5. დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, დოქტორანტები კვლევის (გამოკითხვის) ანგარიშები;
 6. დოქტორანტურის დებულება (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 29 აპრილის №01-05-04/75 დადგენილებებით);
 7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი (2020 წლიდან მოდიფიცირებული/დამტკიცებული სადოქტორო პროგრამებისთვის), დანართები #01, #03;
 8. სტუდენტთა კონტინენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია;
 9. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია;
 10. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება.

რეკომენდაციები

1. კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცვლილებების შეტანა უნივერსიტეტში მოქმედ (დოქტორანტურის პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მოცულობასთან (კრედიტების რაოდენობასთან), განათლების აღიარებასთან, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებულ) დოკუმენტებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებული მიდგომებისა და მექანიზმების სრული გამოყენებით, განსაკუთრებით პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის სისტემატური და კომპლექსური შეფასება-ანალიზის მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ უნივერსიტეტის გარე შეფასებას ახორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის N516 გადაწყვეტილებით ტრანსპორტის სადოქტორო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია და გარე შეფასების შედეგები გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების მიზნით. ამავდროულად, არსებობს პროგრამის გარე შეფასებები, რომლებიც არ აისახა თვითშეფასების ანგარიშში, მაგრამ არის დოკუმენტურად დადასტურებული როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე საქართველოს უსდ-დან მიღებული ოფიციალური წერილებით (მაგ., „საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების ასოციაცია“; შპს „რუსთავის ვაგონმშენებელი კომპანია“; სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტი). დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ გამოკითხვებში, შეიმუშავეს რეკომენდაციები, განიხილეს პროგრამის პროექტი, რაც შემდგომში გახდა დადებითი შეფასებების საფუძველი. ასე-

ვე, პროგრამის შემუშავებაში და შეფასების პროცესში პარტნიორების ჩართულობის შესახებ ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა. თუმცა, არ დგინდება რამდენად რეგულარულად ხდებოდა პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში (2012-2020), როგორი იყო შეფასების პერიოდულობა, ვის მიერ და როგორ შეფასდა პროგრამა, მონაწილეობდნენ თუ არა პროგრამის გარე შეფასებაში უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ანალოგიურ პროგრამას ახორციელებენ, გარე შეფასების შედეგად რა რეკომენდაციები იყო შემუშავებული/გათვალისწინებული და ა.შ. მითითებული გარემოებები მნიშვნელოვანია პროგრამის თანმიმდევრული განვითარებისათვის, მაგ., პერიოდული გარე შეფასება უზრუნველყოფს სხვადასხვა წელს მიღწეული შედეგების შედარებას და პროგრამის პროგრესის დადგენას, გარე შეფასებაში უცხოეთის უსდ-ების მონაწილეობა ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკების გაცნობას, პროგრამების ჰარმონიზაციას და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას (მაგ., გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას) და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უკუკავშირის ამსახველი მასალა („საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების ასოციაცია“, შპს „რუსთავის ვაგონმშენებელი კომპანია“, სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მშენებლობისა და ტრანსპორტის დეპარტამენტი);
2. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, ამ პროცესში როგორც დარგობრივი ორგანიზაციების, ისე უცხოეთის უსდ-ების ჩართულობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შეფასებას ახორციელებს რექტორის ბრძანებით (№01-09-10/273, 17.11. 2019 და MES520001170216, 08.12.2020) შექმნილი საფაკულტეტი კომისია (ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამების კურატორები, დეპარტამენტების უფროსები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები). ამავე ბრძანებაში მითითებულია: კომისიის სხდომების პერიოდულობა (თითოეული სასწავლო წლის ყოველ სემესტრში - არანაკლებ 3 სხდომა, სადაც შეფასდება საგანმანათლებლო პროგრამები და სხვადასხვა პედაგოგების მიერ ჩატარებული მეცადინეობები); კომისიის სავალდებულო წევრები

(მაგ., პროგრამის კურატორი და სტუდენტი) და პირ(ებ)ი, რომელიც შესაძლოა მოწვეულ იქნეს სხდომაზე (სფეროს ან საგნის სპეციალისტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი); პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ხარისხის შეფასებისთვის ინფორმაციის მიღების გზები (კომისიის მიერ მეცადინეობებზე დასწრება, აუდიო-ვიდეო სისტემის ან/და შესაბამისი დოკუმენტების შესწავლა-ანალიზი); კომისიის მუშაობის შემაჯამებელი შედეგების ასახვის წესი (შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შემთხვევაში იწერება დასკვნა დადგენილ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ) და სხვ. პროგრამის შეფასების პროცესის ეტაპები და მათი თანმიმდევრობა, შეფასებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სხვ. რეგულირდება დოკუმენტით „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, რომელიც, ასევე, აღწერს პროგრამის ხარისხის შეფასების ერთწლიან ციკლს. პროგრამის შეფასების მექანიზმებში მოიაზრება პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასება (სამიზნე ნიშნულებთან პროგრამის ათვისების შედეგების შედარება), ასევე პროგრამის შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი კრიტერიუმებით, პროგრამის შეფასება სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების ხარისხის შეფასება და სხვ.

ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება კითხვარების მეშვეობით დაინტერესებულ მხარეთა (პროგრამის დოქტორანტები, განმახორციელებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მოსაზრებების შესწავლა, რაც დასტურდება როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისე გასაუბრების შედეგებით. ჩატარებული გამოკითხვებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მომავალში: 1) გაიზარდოს გამოკითხულთა რაოდენობა (დოქტორანტები: სულ 19, გამოიკითხა 3; კურსდამთავრებულები: სულ 15, გამოიკითხა 3; დამსაქმებლები: თანამშრომლობის მემორანდუმები - 8, გამოკითხულია 3), რაც გაზრდის ანალიზისთვის გამოყენებული ინფორმაციის მოცულობას და გამოკითხვების შედეგების ანალიზის ობიექტურობას; 2) გადაიხედოს გამოყენებული კითხვარები დოქტორანტურისთვის რელევანტური კითხვებისა და შესაძლო პასუხების ნაწილში (მაგ., ნაკლებად რელევანტურია დოქტორანტურის პროგრამისთვის კითხვა „სწავლების რომელი წლიდან (კურსიდან) თვლით მიზანშეწონილად პრაქტიკის/კვლევის განხორციელებას“ და შესაძლო პასუხი „III კურსი / IV კურსი“; კითხვა „რამდენად საკმარისია პროგრამაში კვლევითი კომპონენტი“ და შესაძლო პასუხი „საკმარისია/ნაწილობრივ/არ არის საკმარისი“, ა.შ.). ასევე, დოქტორანტურის პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტების შესწავლა, როგორცაა დოქტორანტთა დამოკიდებულებები (მაგ., დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელების საქიანობის და დოქტორანტებთან მათი მუშაობის ხარისხი, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან წვდომა და საკმარისობა, დოქტორანტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, სხვ.) და დოქტორანტების ხელმძღვანელების მოსაზრებები და საჭიროებები. ექსპერტებთან გასაუბრების ფორმატში პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა განმარტეს, რომ პროგრამის შეფასება ტარდებოდა სისტემატურად და მოიცავდა მეცადინეობების ხარისხის შემოწმებას და გამოკითხვებს, რაც, ასევე, დაადასტურეს დოქტორანტებმა და პროგრამის კურსდამთავრებულებმა.

წინამდებარე ქვესტანდარტთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტების არარსებობის გამო არ დგინდება 2012 წელს აკრედიტაციის მიღების შემდგომ პერიოდში: 1) პროგრამის პერიოდული დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (მაგ., უცხოეთის რომელი უსდ-ების პროგრამებთან და რა პერიოდულობით ხდებოდა პროგრამის დადარება, როგორი იყო შესწავლის შედეგი, რა იყო გათვალისწინებული პროგრამაში და სხვ.); 2) პროგრამის გასაუმჯობესებლად მისი მდგრადობის და ეფექტიანობის შეფასების, მონიტორინგისა და ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავების და კომპლექსური ანალიზის შედეგებისა და იმ მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA პრინციპი, სხვ.) გამოყენება, რომლებსაც თავად უნივერსიტეტი ხარისხის კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს (იხ. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და

სტრატეგია“, მ.3, პ.3.4).

ზემოთ აღნიშნული გარემოებები გახდა დასკვნის პროექტში მითითებული 2 რეკომენდაციის საფუძველი:

- რეკომენდაცია #6 (პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით) - დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია გაზიარებულია დაწესებულების მიერ და დარჩა უცვლელი.
- რეკომენდაცია #7 (სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობა, მდგომარეობა, უსაფრთხოოდ გამოყენების შესაძლებლობა) მრავალმხრივი და ობიექტური შეფასება, შედეგების ანალიზი, ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა) - დასკვნის პროექტში არსებულ ჩანაწერს დაემატა რეკომენდაცია დაწესებულებაში არსებული მიდგომებისა და მექანიზმების იმპლემენტაციის შესახებ, რაც შინაარსობრივად არ ცვლის უკვე არსებულ რეკომენდაციას და წარმოადგენს დაწესებულების მიერ გაზიარებული (5.1. ქვესტანდარტის) რეკომენდაციის ნაწილს. საბოლოო სახით რეკომენდაცია ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის (მათ შორის, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის საკმარისობის მდგომარეობის და უსაფრთხოდ გამოყენების) კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა“.

აქვე განვმარტავთ, რომ ეჭვქვეშ არ ვაყენებთ ზოგადად პროგრამის შეფასების ფაქტს. რეკომენდაცია გულისხმობს პროგრამის შეფასების პროცესში ყველა, დაწესებულების მიერვე ეფექტიანად მიჩნეული მექანიზმის გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს არამხოლოდ პროგრამის მრავალმხრივ (კომპლექსურ) შეფასებას, არამედ თავად დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციების შესრულებას (მაგ., „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“; „პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და შეფასების წესი“, მ.4, პ.5; „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია“, მ.3, პ.3.4).

- ზემოთ მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე ქვესტანდარტის შეფასება დარჩა უცვლელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება;
2. ინტერვიუს შედეგები;
3. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (აკადემიური საბჭოს №01-05-04/261, 23.09.2019 დადგენილების დანართი);
4. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (აკადემიური საბჭოს №01-05-04/108, 17.04.2018 დადგენილების დანართი);
5. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებები (№01-09-10/273, 17.11.2019 და MES520001170216, 08.12.2020) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ;
6. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
7. გამოკითხვის ანკეტები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებლები, დოქტორანტები) და კვლევის (გამოკითხვის) ანგარიშები;
8. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და სტრატეგია.

რეკომენდაციები

1. პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით;
2. ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით პერიოდულად უნდა მოხდეს პროგრამის ყველა ასპექტის კომპლექსური, მრავალმხრივი შეფასება, პროგრამის მდგრადობისა და ეფექტიანობის დადგენა, წლების მიხედვით პროგრესის შესწავლა-ანალიზი დაწესებულებაში არსებული მიდგომისა და მექანიზმების (მაგ., SWOT-ანალიზი, PDCA-პრინციპი და სხვ.) სრული გამოყენებით, რომლებსაც თავად დაწესებულება ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევს. ასევე, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების შედეგების ერთიან დოკუმენტში ასახვა და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. მიზანშეწონილია გაიზარდოს გამოკითხვებში მონაწილე პირთა რაოდენობა, ასევე გადაიხედოს კითხვარებში რესპოდენტებისათვის დასმული კითხვებისა და შესაძლო პასუხების ფორმულირება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | <input checked="" type="checkbox"/> | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

„ტრანსპორტი“, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | <input checked="" type="checkbox"/> | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | <input checked="" type="checkbox"/> | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | <input checked="" type="checkbox"/> | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | <input checked="" type="checkbox"/> | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | <input checked="" type="checkbox"/> | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ჯუმბერ ჩოგოვაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ზაზა ჟორჟოლიანი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - მზევარ გოგილავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ თავხელიძე

Handwritten signatures and stamps of the accreditation experts, including the names of the chairperson and members.